

ფერმენტები

ადამიანის ორგანიზმში ბევრი ფერმენტი მოქმედებს. ისინი ხელს უწყობენ ნივთიერებების სწრაფ გარდაქმნას საკმაოდ დაბალი ტემპერატურის პირობებში. ფერმენტები წარმართავს საჭმლის მონელებას, უჯრედულ სუნთქვას, ფოტოსინთეზს, სპირტულ დუღილს და სხვა პროცესს. მათ ბუნებრივ კატალიზატორებს უწოდებენ.

ორგანიზმში არსებული მნიშვნელოვანი ორგანული ნივთიერებების (ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები) გარდაქმნის კატალიზატორებს სხვადასხვა ტიპის ფერმენტი წარმოადგენს (ნახ. 2.36).



უპასუხე კითხვებს:

1. რომელი ორგანოთა სისტემის ფერმენტებია გამოსახული სქემაზე?
2. შენი აზრით, რომ არ გვჭკონდეს ფერმენტები, რა შეიცვლებოდა ორგანიზმში?
3. რას უწოდებენ ფერმენტებს?